



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 145



2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური


### ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ააიპ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ (ს/კ 443860984) ფუნქციონირებისათვის, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებისა და მუნიციპალიტეტის კულტურულ, სპორტულ და სხვა სახის ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციის განთავსება ბეჭდურ მედიაში, საჭიროა დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების 2017 წლის პროგრამა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ააიპ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ (ს/კ 443860984) ფუნქციონირების 2017 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 39 700 (ოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარი დანართი №1 შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის ერთ ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩვირდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

# ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების პროგრამა

## მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება;

მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა;

შემოქმედებითი და ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა.

## მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ა.ა.ი.პ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დაფინანსებას წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელების მიზნით.

„ხაშურის მოამბის“ რედაქცია უზრუნველყოფს გაზეთის გამოცემას კვირაში ერთხელ და ლიტერატურული დამატების გამოცემას თვეში ერთხელ.

## მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა: 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 39 700 ლარი, რაც გათვლილია რედაქციის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე, გაზეთისა და მისი ლიტერატურული დამატების ბეჭვდაზე, ტექნიკურ უზრუნველყოფაზე.

## მუხლი 5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დროულად მიიღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე.

## მუხლი 6. შეფასების ინდიკატორი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა.